# დროება

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან ბატონის სახლებში კავკასიის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ქვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორ-შაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებას მიიღებს ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედა.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს აბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი


დღეისათვის დანიშნული «საქვირაო მასალათი» გადიდება სამშაბათამდის უადგილობის გამო.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

ვარშავა, 30 ივნისს. დღეს სალდათ-მოზედ გადაწყდა საქმე სადოვსკისა და ეზოს მცველის მატკოვსკისა; პირველს დაბრალდა თავის ბებიის, მოხუცებულის იოტროვსკისა და ერთის მისის მოსამსახურე ყმაწვილის-ქალის მოკვლა გაცარცვის სურვილისათვის; მეორეს დაბრალდა ამ საქციელში მონაწილეობა. სადოვსკის გადაუწყვიტეს კატორღა ოცის წლით, მატკოვსკის თხუთმეტის წლით.

ბერლინი. «ჩრდილოეთ-გერმანიის გაზეთი» ამბობს, რომ თ. ორლოვმა ვერ ნახა თ. ბისმარკი, რადგან ბისმარკი ისე ავადმყოფობს, რომ სრული მშვიდობიანობა ეჭირვება, თუმც მალიან სასიამოვნოდ დარჩებოდა თავის მეგობრის ნახვა.

პეტერბურღი, 1 ივლისი პირველის ივლისის ტირაჟში უმთავრესი მოგებანი შეხვდა შემდეგ ბილეთებს:

| № სერიისა. | № ბილეთისა. | რამდენია მოგება. |
|---|---|---|
| 14098 | 46 | 200,000 |
| 6960 | 41 | 75,000 |
| 16424 | 39 | 40,000 |
| 14690 | 11 | 25,000 |
| 13996 | 39 | |
| 3436 | 43 | 10,000 |
| 17759 | 4 | |
| 12500 | 18 | |
| 4894 | 23 | |
| 17424 | 36 | 8,000 |
| 3725 | 14 | |
| 15731 | 25 | |
| 4073 | 11 | |
| 9860 | 24 | |
| 9799 | 10 | |
| 6282 | 5 | 5,000 |
| 13920 | 11 | |
| 9579 | 47 | |
| 17003 | 36 | |
| 14916 | 24 | |
| 14607 | 49 | |
| 8618 | 33 | |
| 10331 | 47 | |
| 10561 | 3 | |
| 1040 | 10 | |
| 11025 | 24 | |
| 4984 | 15 | |
| 1267 | 45 | |
| 19168 | 39 | |
| 4490 | 19 | 1,000 |
| 4791 | 8 | |
| 14597 | 18 | |
| 16232 | 5 | |
| 15739 | 45 | |
| 13623 | 3 | |
| 993 | 3 | |
| 8767 | 50 | |
| 1418 | 20 | |
| 12325 | 23 | |
| 2383 | 29 | |

პეტერბურღი, 1 ივლისს. ტირაჟში გამოვიდა შემდეგი ნომრები სერიებისა: 9, 79, 291, 369, 424, 578, 770, 1136, 1501, 1551, 1600, 1675, 2086, 2482, 2818, 3797, 3861, 3913, 4877, 4947, 5292, 5332, 5756, 5868, 6173, 6769, 7288, 7521, 7565, 7567, 7797, 7981, 8092, 8769, 8335, 8526, 8606, 8771, 9047, 9377, 9794, 9988, 10383, 10527, 10771, 10774, 11038, 11311, 11524, 11563, 11642, 12195, 12366, 12497, 12968, 13342, 13800, 14370, 14760, 15358, 15496, 16100, 16406, 16654, 16805, 16897, 17383, 17528, 17557, 18153, 18636, 19223, 19510 და 19665.

ფინანსთა მინისტრმა წინადადებას მისცა სახელმწიფო ბანკს, რომ გამოსცეს მოკლე ვადიანი ბილეთები სახელმწიფო ხაზინისა სამის ვადისა, თითო ვადაზე ათის მილიონ მანეთისა: მეერე ვადისა 1-ლის ივლისიდამ, მეცხრე ვადისა 15 ივლისიდამ და მეათე ვადისა 1-ლის აგვისტოდამ, სულ ოც-და-ათის მილიონისა. თითო ბილეთი უნდა იყოს 500, 1000 და 5000 მანეთის ღირებულობისა. თავნი დაუბრუნდებათ ექვსის თვის შემდეგ დანიშნულის ვადისა სარგებლით; წელიწადში ექნებათ ამ ბილეთებს 4 პროცენტი.

შავის-ზღვის ნავთ-სადგურების ხოლერისაგან დასაცავად შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი ზომა მიიღო: ხომალდები, რომელთაც ხოლერისაგან თავისუფალი ქაღალდი არა აქვთ, ორ კვირას არსად არ უნდა წავიდნენ; სხვა ყველა გემები, რომელთაც თავისუფალი ქაღალდი ექნებათ და მომავალნი იქნებიან სტამბოლის სრუტიდამ ან ანატოლიის ნაპირიდამ, აგრეთვე იმისთანები, რომელთაც უცხო ქვეყნის კარანტინებში შვიდი დღე დაჰყვეს, — ეს გემები გაგზავნილნი იქნებიან მხოლოდ ოდესაში, კერჩში, ფეოდოსიაში და ბათუმში. ტონკინში ომი ამ დღეებში დაიწყობა.

ლონდონი. ლორდმა გრენვილმა შეატყობინა პარლამენტს, რომ საფრანგეთის მინისტრმა გარეშე საქმეებისამ არაფერი არ იცის მადაგასკარის ამბები და მალე უყველაფერს შეატყობს გრენვილსა ჰგონია, რომ მადაგასკარის წყლებში ინგლისის ფლოტის გაძლიერება ჯერ საჭირო არ არის და ცუდად შეიძლება მოიღონ, — ან კი რა საჭირო იქნება, როდესაც თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ საფრანგეთი დაუკმაყოფილებელს არ გაგვიშვებსო.

პარიჟი. ჰავასის სააგენტო ამბობს, რომ საფრანგეთის მთავრობამ მისწერა ზანზიბარის კონსულს შეკრიბა ნამდვილი ცნობები მადაგასკარის ამბებზედ და ამ მთავრობას ჰგონია, რომ ინგლისში მიტანილი ამბები, სხვა რომ არა იყოს-რა, გადამეტებულია, რადგან ადმირალის პლერას წინდახედულობა ყველასაგან ცნობილია. საღამოს გაზეთები დამშვიდებულის კილოთი ლაპარაკობენ, დარწმუნებულნი არიან, რომ საქმე სამხედროდ არ შეიქნება.

პეტერბურღი, სამხედრო-საბჭომ გადასწყვიტა, რომ სამხედრო სამსახურში მყოფთაც ჰქონდეთ, სამოქალაქო მოსამსახურე პირებსავით, ორს წელიწადში 28 დღით დათხოვნის ნება.

ვილნო, 30 ივნისს. მარშანსკოსიზმანის გზის თავმჯდომარე ღენერალ-ლეიტენანტი ზეიმე გაუფრთხილებლობით ვაგონებს ქვეშ მოჰყვა. ორივე ფეხი გადასჭრეს და ზეიმემ მაშინვე სული გაჰყვა.

## ახალი ამბები.

ამას წინად ბათუმიდამ გვწერდნენ, რომ «ერთმა არტისტმა ქართულ დრამატიულის დასისამ ბ. კ. აბაშიძემ, «თამარ ბატონიშვილის» წარმოდგენის დროს, ისე არ იცოდა როლი რომ სცენაზე გაჩერდა და კულისებიდგან გაგონილს სიტყვებს თუთიყუშივით იმეორებდაო». რედაქციამ ეს არტისტების ნაკლულევანება ფრთხილად გამოაცხადა და სთქვა: «ზოგიერთა არტისტებს მოუვიდათ ასეთი, რადგან ამისთანა ძები ჩვენის არტისტებისათვის თითქმის საყოფელი. ახლა ჩვენი კორესპონდენტი გვეუბნება, რადგან პირ-და-პირ არ დაასახელეთ, ვიზედაც გწერდი, მე საყოველთაოდ არ მითქვამს, მარტო ერთზე ვამბობდიო. ვასწორებთ ამ შეცდომას და ბოდიშს ვიხდით კორესპონდენტთან, რომ მისი აზრი გადავასხვაფერეთ. თუმცა ვარწმუნებთ, ამით «ჰუმორისტებსა და სიმართლეს» არაფერი, რადგან მართლაც და ზოგიერთა ჩვენი არტისტები, და არა მარტო ერთი, ისე დაუდევრად ეკიდებიან თავიანთ საქმეს, რომ საკვირველად მიაჩნიათ, როცა იტყვიან «ისე გამოვედი სცენაზედ, ერთი სიტყვა არ ვიცოდიო!»

მეორე ბათუმელი კორესპონდენტი გვწერს ბ. მოხვევს უზდელს ქცევაზედ «ყვარ-მეყვარის» წარმოდგენის დროს: რაკი ბ. მოხვემ შეიტყო, რომ მის უწესო თამაშობაზე «სამშობლოში» იქნება «დროებაში» დაბეჭდილი წერილი ერთის პირისაგანაო, ამ პირის სამტროდ სცენიდამ გამოილაპარაკა და შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა, თავისით პიესაში ჩართული:

«ეხლა მე რაღა მიჭირს, კორესპონდენტიც ვარ, ადვოკატიც ვარ, აქაურ კორესპონდენტებივით ქუჩიდან მოვხვეტ ჭორებს, ვისაც მინდა და რამდენიც მინდა ვაგინებ, ვლანძღავ! რა მენაღვლება, ამისთვისაც ხომ ვღებულობ ბლომად ფულებს!»

ჩვენ არ დავიჯერებდით რომ ბ. მოხვევს ისე დავიწყებოდეს ზრდილობა, რომ ამისთანა მოუფიქრებელი სიტყვები წამოესროლოს, თუ კორესპონდენტთან ერთად სარწმუნო პირებსაც არ დაემოწმებინეთ. არ ვიცით, რამ აიძულა ბ. მოხვევე რომ ასეთი ცილი დასწამა და მერე სცენიდამ პატიოსან უფასო მშრომლებს ჩვენს უმადურის ლიტერატურის ასპარეზზედ, მაგრამ რასაც უნდა აეძულებინა, მაინც იმისი მოქმედება გასაკიცხია და ვერც ჩვენ დავაგდებთ გაუკიცხავად. თუმცა ბ. მოხვევე ნიჭიერი მწერალია მოთხრობებისა, ბევრი ღვაწლიც მიუძღვის «დროების» წინაშე, მაგრამ ეს მაინც პირზედ ხელს ვერ აგვაფარებს და ყოველთვის შავს შავს დავუძახებთ, თეთრს თეთრსა. ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ლიტერატურული ნათლიმამობა ჩვენს გაზეთში არ იქნებაო და მოვახერხებთ ჩვენის სიტყვის შესრულებას, თუნდაც რომ ამით ჩვენს საუკეთესო თანამშრომლებსაც ვაწყენინოთ.

თიანეთიდამ გვწერენ: ჩვენს მოსამართლეს ხშირად უყვარს ნახშსთან გამოლაპარაკება და არც გასაკიცხია ხანდისხან ქეიფის გატარება, თუ თითონ მოსამართლესაც ჩვეულება შიში არ აგდებდესო. ამას წინად სოფელში ეშმაკისნათ რამდენსამე «სამპატიო» პირს და იქიდამ ნასხურებები წამოსულიყვნენ. მოსამართლეს იორში ღამე ალაგას შემოეყარნა ქალები და შიგ შუა წყალში გადმობანებულიყო. კარგია კიდევ თიანეთის ჩინოვნიკებმა გამოათრიეს, როგორც იყო და მარტო ქუდი და მათრახი იმსხვერპლა წყალმა, თორემ, შენი მტერი, ვინ იცის, რამდენი ხანი თიანეთი უმოსამართლოდ დარჩებოდა!

მღვდელი ალექსი მარამიძე გვწერს ს. ზოსტანიდამ, რომ ამას წინად იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახსოვრად გამართულ ბავშვების სადგურისათვის მოვაგროვე, კომისიის თავმჯდომარის თხოვნით, თვრამეტი მანათი და სამი შაური და ეს ფული წერილითურთ 17 ნოემბერს იმავე წელს 120 №-ით გავგზავნე ფოსტით თბილისში. მართალია, გამოცხადებული იყო, რომ გაზეთში იქნება დაბეჭდილი შემწირველების სია, მაგრამ ჩემი ხმა ჯერ არსად სჩანსო. თუმცა ერთხელაც მივმართე კომისიას პასუხი ეცნობებინა, — მიიღო, თუ არა ფული, მაგრამ დღესაც არაფერი შემიტყვია.

გაზეთი «Каспiй» ამბობს, რომ ამ დღეებში საშინელი ღელვა ყოფილა კასპიის ზღვაზედ, ასე რომ გემები და ნავები ნაპირებს ვერ უდგებოდნენ. რამდენიმე ნავი გადმობრუნებულა და ზოგიერთნი შიგ მსხდომნი ზღვაში დამხრჩვალან.

თბილისში, რიყეზედ, ამ ცოტა ხანში გაისხნება ორთქლით პურის საცხობი სახლი, რომელიც ეკუთვნის ონიკოვს, ზუბალოვს და კამპანიას. პირველში მხოლოდ მესამე სორტის პურის ცხობას აპირობენ კომპანიონები და შემდეგში იმედი აქვთ, როცა საქმე უფრო დამკვიდრდება, სხვა სორტებისაც აცხონ. ორთქლით გამომცხვარ პურს ის უპირატესობა ექნება ფურნის პურზედ, რომ უფრო თანაბრად იქნება გამომცხვარი და შეიძლება უფრო იაფადაც დაჯდეს, თუ კი «ორთქლის პურს» ყოველთვის მუშტარი ეყოლება და ქალაქელების ჩვეულების სიმტკიცეს დასძლევს, რომელთაც, ალბად თავიანთ თონის პური კი ჰქონდეთ სუფრაზედ და პურს არ დასდევენ, თუ ეს პური ან მოუზელავია, ან უფუ-დამწვარი.

თუმცა სამკურნალო წყლების შემნახავებს აქამდის მთავრობისაგან შეწყობა ელოდათ, მაგრამ მთავრობამ რა ნახა რომ «შეწყობა» არასა შველოდა, წყლები ისევ უწინდელებურად ცუდს მდგომარეობაში იყვნენ, და აბაბ-მეოფეები კიდევ უარესში, — გადასწყვიტა, მომავალის წლიდამ ყველა წყლები გადასცეს კერძო პირებს იჯარით და შეწყობა აღარა გაუწიოს-რა!

## სხვა-და-სხვა ამბავი.

უძველესი გაზეთი. ჩინელებმა, არამც თუ თოფის წამალი, ბეჭდვა და სხვა ევროპიელებზედ წინ მოიგონეს, იმათ გაზეთიც ყველა ხალხებზედ წინ შემოუღიათ. ჩინეთში გამოდის ეხლა ყოველ-დღიური გაზეთი «კინგპაო», რომლის პირველი ნომერიც გამოსულა

911 წელს, ე. ი. ამ ცხრა ასი წლის წინად ამ ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ და ეხლა კი ყოველ-დღიური გაზეთია. დილის გამოცემა იბეჭდება ყვითელ ქაღალდზედ 8000 ეგზემპლიარამდე; საღამოსი იბეჭდება წითელ ქაღალდზედ. გაზეთის გამოცემაში მონაწილეობას იღებს ექვსი კაცი, სულ ჩინეთის სამეცნიერო აკადემიის წევრნი. ბოლოს დროს მართებლობის ბრძანებით გაზეთის ფორმატი გაადიდეს, თუმცა ფასი ისევ ის არის, რაც 1800 წელს იყო.

—

აჩრილებული ექიმი. გამოჩენილს ინგლისის ექიმს აბერნეტს საშინლად ეჯავრებოდა ბევრი ლაპარაკი. თუ ავადმყოფი მეტ ლაპარაკს მოჰყვებოდა, აბერნეტი გიჟივით გახდებოდა და ისისათანა ავადმყოფს პანღურ ამოუქნევდა ხოლმე, ერთხელ ერთი ქალი შევიდა და ხმის ამოუღებლივ მკლავი გაუწოდა.

— დაფხაჭნილია?—ჰკითხა ექიმმა.

— ნაკბენია.

— კატა?

— ძაღლი.

— დღეს?

— გუშინ.

— გტკივა?

— არა

აბერნეტს ისე გაუხარდა ამისთანა ცოტას მოლაპარაკე ადამიანის და მერე ქალის ნახვა, რომ კინაღამ იქვე გადაკოცნა. აგრეთვე არ უყვარდა იმას ღამე შეწუხება. ერთხელ შუაღამისას ვიღაც მიადგა იმის კარებს და საშინელი ბრახუნი დაუწყო.

— ვინ არის? რა გინდა?—გადმოსძახა აბერნეტმა.

— გვიშველე, ღვთის გულისთვის! მამაჩემმა ცოცხალი თაგვი გადაყლაპა!..

— დამეკარგეთ მანდედამ, შეუტია აბერნეტმა, წადი ეხლა და ცოცხალი კატა გადააყლაპე და თითონ მოურიგდება იმ თაგვსა.

—

ხაბარდა. უნდა ჩვენს ქალებს ერთი სამწუხარო ამბავი შევატყობინო, მივუსამძიმრო, თუმცა—ღმერთია თავდები!—მეც თითონ «სული მიწუხს, გული მიტირს». აი რა ამბავია: თუმცა ხაბარდა ერთხელ გადააგდეს, მაგრამ ამ ცოტა ხანში პარიჟელმა ქალებმა ისევ ხელ-ხელა დაიწყეს ჩაცმა. პარიჟელ ქალებს ინგლისელებმაც წაჰბაძეს და თუ უელსის პრინცესა არა ყოფილიყო, ხელმეორედ შემოიღებდენ. ამ პრინცესას გადაჭრით უარი უტკვეცია ხაბარდის ჩაცმაზედ და იმის მაგალითით სხვებსაც ვეღარ გაუბედიათ.

## ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 9 აგვისტოს მდგომარის 1883 წლისა, დილის თორმეტს საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში (ქარავან-სარაის ქუჩა, ხარაზოვების სახლები), საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სასესხო გადასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე 19 §-ის თანხმად, შეავსებენ ბანკის სასესხო გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა და სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზედ ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება იმავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ-მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზედ გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სასესხო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 25 იმავე აგვისტოს.

### ქუთაისის გუბერნიის $43^{1}/_{2}$ წლიანნი სესხნი

### ქუთაისის მაზრისა

ღოღობერიძისა, მარიამ სიმონის ასულის, კოლლეჟსკი. სოვეტნიკის მეუღლისა: სოფ. ბაშს სახნავ-სათესი და ტყე, $46^{1}/_{3}$ დღ. თავნი ვალი 7234 მ. შესავს. გადასახ. 463 მ. 03 კ. სულ 7697 მ. 3 კ.

მისივე, სოფელთა ფარცხანაყანევს, ბაშს და ისნეთს სახნავ-სათესი, ტყე და სათიბი, $132^{1}/_{3}$ დღს. თავნი ვალი 10,127 მ. 88 კ. შესავს. გადასახ. 720 მან. 97 კ. სულ 10,848 მ. 38 კ.

მისივე, სოფ. ფარცხანაყანევს, ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 21 დღს. 400 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 2893 მ. 44 კ. შესავს. გადას. 190 მ. 97 კ. სულ 3084 მ. 41 კ.

ლორთქიფანიძისა, დავით ბეკოს-ძის, თავადისა: სოფ. ახალბედისეულს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 164 დღს. 2280 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 4629 მ. 69 კ. შესავს. გადასახ. 272 მ. 27 კ. სულ 4901 მ. 95 კ.

მემკვიდრეთა თავადის ვლასა ბესარიონის-ძის ლორთქიფანიძისა: სოფ. ოფიშკვითს სახნა-სათესი, 91 დღს. 1390 კვ. საჟ. თავნი ვალი 9355 მ. 81 კაპ. შესავს. გადასახ. 398 მ. 90 კ. სულ 9754 მ. 71 კ.

მემკვიდრეთა, აზნაურის ბესარიონ ანდრიას-ძის ხელთუფლიშვილისა ბანოჯის აგარს სახნავ-სათესი და ტყე, 36 დღს. 360 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1157 მ. 43 კ. შესავს. გადასახ. 94 მ. 92 კ. სულ 1252 მ. 35 კ.

მესხისა, სიმონ სპირიდონის-ძის, აზნ.: სოფ. რიონს ეზო, ზვარი სახნ.-სათესი და ტყე, 25 დღს., თავნი ვალი 1936 მ. 05 კ. შესავს. გადასახ. 66 მ. 08 კ. სულ 2002 მ. 13 კ.

ნიჟარაძისა, იოსებ აპესას-ძის, თავადისა: სოფ. მაღლაკს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 34 დღს. 406 კვ. საჟ; თავნი ვალი 1455 მ. 13 კ. შესავს. გადასახ. 94 მ. 84 კ. სულ 1549 მ. 97 კ.

ნიჟარაძისა, მიხაილ დიმიტრის-ძის, თავადისა: სოფ. მაღლაკს ეზო და სახნავ-სათესი, 18 დღს. 450 კვ. საჟ.; თავნი ვალი 774 მ. 54 კ. შესავს. გადასახ. 74 მ. 18 კ. სულ 848 მ. 72 კ.

ამაღლობელისა, ივანე გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფ. გომს ეზო და სახნავ-სათესი, 28 დღს. 2100 კვ. საჟ.; თავნი ვალი 1262 მ. 73 კ. შესავ. გადასახ. 84 მ. 05 კ. სულ 1346 მ. 78 კ.

აგიაშვილისა, გიორგი თეიმურაზის-ძის, თავადისა: სოფ. ტყაჩირს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 114 დღს 1931 კვ საჟ; თავნი ვალი 14570 მ. 09 კ. შესავ. გადასახ. 118 მ. 78 კ. სულ 15753 მ. 87 კ.

აგიაშვილისა, სიმონ ბეჟის-ძის, თავადისა: სოფ. ტყაჩირს სახნავ-სათესი, 18 დღს. 1800 კვ. საჟ.; თავნი ვალი 1942 მ 75 კ. შესავ. გადასახ. 89 მ. 94 კ. სულ 2032 მ. 69 კ.

აგიაშვილისა, ქაიხოსრო ბეჟის-ძის, თავადისა: სოფ. ტყაჩირს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 28 დღს. 1200 კვ. საჟ.; თავნი ვალი 2816 მ. 92 კ. შესავ. გადასახ 181 მ. 36 კ. სულ 2998 მ. 28 კ.

აგიაშვილისა, ქაიხოსრო, კონსტანტინე და სიმონ ბეჟის-ძეთა, თავადთა: სოფ. ტყაჩირს სახნავ-სათესი და ტყე, 33 დღს. 1800 კვ. საჟ.; თავნი ვალი 2719 მ. 74 კ. შესავ. გადასახ. 207 მ. 23 კ. სულ 2926 მ. 97 კ.

გიგიანისა, ანნა, ფილიპის ასულის, აზნაურისა: სოფ. პატრიკეთს ეზო და სახნავ-სათესი, 9 დღს. 695 კვ. საჟ.; თავნი ვალი 679 მ. 96 კ. შესავ. გადასახ. 51 მ. 03 კ. სულ 730 მ. 99 კ.

ქუთათელაძეთა: მეგენი და ტარასი სოფრომის-ძეთა, აზნაურთა დაბასა ხონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 8 დღს. 1849 კვ. საჟ.; თავნი ვალი 1359 მ. 84 კ. შესავ. გადასახ. 99 მ. 51 კ. სულ 1459 მ. 35 კ.

მესხისა, ირაკლი გრიგორის-ძის, აზნაურისა: სოფ. ნავენახევს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 21 დღს. 1800 კვ. საჟ. თავნი ვალი 679 მ. 96 კ. შესავ. გადასახ. 60 მ. 47 კ. სულ 740 მ. 43 კ.

მხეიძისა, ივანე დავითის-ძის, აზნაურისა: სოფ. ქორეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 8 დღსიატ. 651 კვ. საჟ.; თავნი ვალი 388 მ. 55 კ. შესავ. გადასახ. 71 მ. 33 კ. სულ 459 მ. 88 კ.

ხიდიასი, ბიგო დავითის-ძის, მოვაჭრისა: სოფ. ბზვანს, ეზო, ზვარი და სახნავ სათესი 1 დღს. 2350 კვ. საჟ.; თავნი ვალი 194 მ. 19 კ. შესავ. გადასახ. 32 მ. 32 კ. სულ 226 მ. 51 კ.

გოგორიშვილისა, მარიამ მერაბის ასულის, აზნ.: სოფ. ინაშაურს და ბზვანს ეზო, ზვარი, სახნ.-სათესი და ტყე, 9 დღს. 675 კვ. საჟ., თავნი ვალი 974 მ. 52 კ. შესავს. გადასახ. 92 მ. 13 კ. სულ 1066 მ. 65 კ.

გაბაშვილისა, ნიკო კონსტანტინეს-ძის, აზნ.: სოფ. ჯიმასტაროს, გუმათის აგარს ეზო, ზვარი, სახნ.-სათესი და ტყე 40 დღს. 580 კვ. საჟ., თავნი ვალი 1169 მ. 55 კ. შესავს. გადასახ. 93 მ. 47 კ. სულ 1263 მ. 02 კ.

ერისთავისა, ივანე ოტიას-ძის, თავადისა: სოფ. ამაღლებას, ინაშაურს და უბაუთს სახნავ-სათესი და ზვარები, 67 დღსიატ. 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6822 მ. 25 კ. შესავ. გადასახ. 383 მ. 02 კ. სულ 7205 მ. 27 კ.

გამყრელიძისა, ლევან გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფ. ობჩის ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 11 დღსიატ. 1464 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 977 მ. 73 კ. შესავ. გადასახ. 88 მ. 52 კ. სულ 1066 მ. 25 კ.

იოსელიანისა, პეტრე ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: სოფელს წყალტუბოს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 14 დღსიატ. 600 კ. საჟ.; თავნი ვალი 1173 მ. 37 კ. შესავს. გადასახ. 102 მ. 99 კ. სულ 1276 მ. 36 კ.

მიქელაძეთა: ლომინ, დავით და სოლომონ გიორგის-ძეთა, თავადთა: სოფ. ქულაშს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 9 დღსიატ. 900 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 1955 მ. 58 კ. შესავ. გადას. 89 მ. 71 კ. სულ 2045 მ. 29 კ.

მიქელაძისა, ალექსანდრე იაგორის-ძის, თავადისა: სოფ. ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი $10^{1}/_{8}$ დღსიატ.; თავნი ვალი 2151 მ. 04 კ. შესავ. გადასახ. 159 მ. 06 კ. სულ 2310 მ. 10 კ.

მიქელაძეთა: ვალერიან და გიორგი ბეგლარის-ძეთა, თავადთა: სოფ. ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი 23 დღსიატ. 1104 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4595 მ. 59 კ. შესავს. გადასახ. 447 მ. 85 კ. სულ 5043 მ. 44 კ.

ნიჟარაძისა, მიხაილ რევაზის-ძის, თავადისა: სოფ. ოფიშკვითს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 3 დღსიატ.; თავნი ვალი 782 მ. 26 კ. შესავს. გადასახ. 77 მ. 20 კ. სულ 959 მ. 46 კ.

ტოგონიძისა, მარიამ ანდრიას ასულის: გუმათის აგარს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 10 დღსიატ 889 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 586 მ. 60 კ. შესავს. გადასახ. 62 მ. 39 კ. სულ 648 მ. 99 კ.

აგიაშვილისა, ეგვიპტა გიორგის ასულის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი, 30 დღს.; თავნი ვალი 3138 მ. 71 კ. შესავ. გადას. 227 მ. 74 კ. სულ 3411 მ. 45 კ.

ქორქაშვილისა, ანნა რევაზის ასულის, კოლლეჟსკი ასესორის ქვრივისა: სოფ. მაღლაკს და ოფიშკვითს სახნავ-სათესი 22 დღსიატ. 1745 კვ. საჟ.; თავნი ვალი 490 მ. 40 კ. შესავს. გადასახ. 59 მ. 01 კ. სულ 549 მ. 41 კ.

მისივე: სოფ. ბაშს და ფარცხანაყანევს სახნავ-სათესი, 21 დღს. თავნი ვალი 2572 მ. 79 კ. შესავს. გადასახ. 217 მ. 3 კ. სულ 2789 მ. 82 კ.

ლორთქიფანიძისა, ევროსინე ნიკოლოზის ასულის, თავადისა: სოფ. ტყაჩირს სახნავ-სათესი, 6 დღს. 1584 კვ. საჟ.; თავნი ვალი 588 მ. 45 კ. შესავს. გადასახ. 48 მ. 52 კ. სულ 636 მ. 97 კ.

ასათიანი, ბიჭია დავითის-ძის, აზნაურისა, ეზო სახნავ-სათესი და ტყე 3 დღს. 2023 კვ. საჟ.; თავნი ვალი 688 მ. 60 კ. შესავს. გადასახ. 58 მ. 42 კ. სულ 747 მ. 02 კ.

აგიაშვილისა, მიხაილ ბეკოს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ზვარი და სახნავ-სათესი 15 დღს. 1251 კვ. საჟ.; თავნი ვალი 2164 მ. 46 კ. შესავსებელი გადასახადი 106 მ. 49 კ. სულ 2360 მ. 95 კ.

მისივე: სოფ. ტყაჩირს ეზო და სახნავ-სათესი, 114 დღს. თავნი ვალი 15,052 მ. 58 კ. შესავს. გადასახ. 1230 მ. 43 კ. სულ 16,283 მ. 01 კ.

გამყრელიძისა, მიხაილ ბექანის-ძის, აზნაურისა: სოფ. ობჩას ეზო, ზვარი, სახნავ სათესი და ტყე, 17 დღს. 1404 კვად. საჟ. თავნი ვალი 983 მან. 80 კ. შესავს. გადასახ. 70 მ. 04 კ. სულ 1,053 მ. 84 კ.

მიქელაძისა, დავით პეტრეს-ძის, თავადისა: სოფ. ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი, 3 დღს. 1800 კვად. საჟ. თავნი ვალი 885 მ. 44 კ. შესავს. გადასახ. 45 მ. 79 კ. სულ 931 მ. 23 კ.

მიქელაძისა, ელიზბარ მურძაყანის-ძის, თავადისა: სოფ. ქულაშს ეზო, 2 დღს. 1768 კვად. საჟ. თავნი ვალი 590 მ. 34 კ. შესავს. გადასახ. 33 მ. 54 კ. სულ 628 მ. 88 კ.

მაჩაბლისა, ნესტორ იესეს-ძის, თ-სა: სოფ. ტყაჩირს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 12 დღს. 2340 კვად. საჟ. თავნი ვალი 1673 მ. 48 კ. შესავს. გადასახ. 77 მ. 89 კ. სულ 1750 მ. 37 კ.

ნიჟარაძისა, ალექსანდრა მერაბის ასულის, თ-დისა: სოფ. ოფიშკვითს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 21 დეს. 2304 კვ. საჟ. თავნი ვალი 1475 მ. 74 კ. შესავს. გადასახ. 72 მ. 42 კ. სულ 1548 მ. 16 კ.

ნიჟარაძეთა: ერმალო, ბეგლარ და ვასილ იოსების-ძეთა, თ-დთა: სოფ. მელოაკს სახნავ-სათესი ზვარი და ტყე 57 დეს. 206 კვ. საჟ. თავნი ვალი 2459 მ. 56 კ. შესავს. გადასახ. 152 მ. 37 კ. სულ 2611 მ. 93 კ.

წულუკიძეთა: დავით და ალექსი გიორგის-ძეთ, თ-დთა: სოფ. ნამაშევს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 46 დეს. 1050 კვ. საჟ. თავნი ვალი 3049 მ. 88 კ. შესავს. გადასახ. 297 მ 47 კ. სულ 3347 მ. 35 კ.

ერისთავისა, გიორგი დავითის-ძის, ნადვორნი სოვეტნიკისა: სოფ. სალომინაოს და ნოღას სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 31 დეს. 1312 კვ. საჟ. თავნი ვალი 2951 მ. 51 კ. შესავს. გადასახ. 203 მ. 17 კ. სულ 3154 მ. 68 კ.

მემკვიდრეთა აზნაურის გ... ა სპირიდონის ასულის ერისთვისა, სოფ. ოზნას სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 10½ დეს. თავნი ვალი 688 მ. 72 კ. შესავს. გადასახ. 53 მ. 63 კ. სულ 742 მ. 35 კ.

მაჩაბელთა: ნესტორ და ანემპოდისტო იესეს-ძეთა, გიორგი მიხაილის-ძის, ნატალია ივანეს ასულის და მარიამ ხევეს ასულის, თ-და: სოფ. ინეთს სახნავ-სათესი და ტყე, 176 დეს. 1652 კვ. საჟ. თავნი ვალი 10,854 მ. 01 კ. შესავს. გადასახ. 442 მ. 38 კ. სულ 11296 მ. 39 კ.

მათივე: სოფ. ინეთს სახნავ-სათესი და ტყე 406 დეს. 192 კვ. საჟ. თავნი ვალი 39,173 მ. 05 კ. შესავს. გადასახ. 1593 მ. 96 კ. სულ 40767 მ. 01 კ.

მიქელაძისა, ივანე ნიკოლოზის ძის, თ-დისა: სოფ. ძულაშს ეზო და სახნავ-სათესი, 5 დეს. 1500 კვ. საჟ. თავნი ვალი 986 მ. 74 კ. შესავს. გადასახ. 77 მ. 59 კ. სულ 1064 მ. 33 კ.

ჩხეიძისა, იოსებ ფირანის-ძის, აზნაურისა: სოფ. დიმს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 15 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1973 მ. 47 კ. შესავს. გადასახადი 47 მ. 40 კ. სულ 2020 მ. 87 კ.

ჩხეიძისა, ეკატერინა ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა: სოფ. ფარცხანაყანევს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 36 დესიატ. 576 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 2466 მ. 81 კ. შესავს. გადასახადი 268 მ. 79 კ. სულ 2735 მ. 60 კ.

უვიცარიძისა, გოგია დავითის-ძის, გლეხისა: სოფ. ბაკისუბანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 2 დესიატ. 49 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 197 მ. 91 კ. შესავს. გადასახ. 25 მ. 51 კ. სულ 223 მ. 42 კ.

ლორდქიფანიძისა, პრისკილა ბესარიონის ასულის, თავადისა: სოფ. ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 1152 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1979 მ. 09 კ. შესავს. გადასახ. 158 მ. 72 კ. სულ 2137 მ. 81 კ.

ლორდქიფანიძისა, სიკო დავითის-ძის, თავადისა: სოფ. ჩუნეშს ეზო, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 34 დესიატ. 48 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1781 მ. 06 კ. შესავს. გადასახადი 237 მ. 83 კ. სულ 2018 მ. 89 კ.

მაჩაბელისა, ანემპოდისტო იესეს-ძის, თავადისა: სოფ. ძულაშს ეზო და სახნავ-სათესი, 28 დესიატ. 1920 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 9004 მ. 84 კ. შესავს. გადასახ. 578 მ. 95 კ. სულ 9583 მ. 79 კ.

წულუკიძისა, ნიკო სიმონის-ძის, თავადისა: სოფ. საწულუკიძეოს ეზო, სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 17 დესიატ. 2040 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 5442 მ. 49 კ. შესავს. გადასახ. 846 მ. 15 კ. სულ 6288 მ. 64 კ.

ჩარკვიანისა, მარიამ ანდრიას ასულის, აზნაურისა: სოფ. ფერსათს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 7 დესიატ. 320 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 494 მ. 76 კ. შესავს. გადასახ. 50 მ. 25 კ. სულ 545 მ. 01 კ.

ბრეგვაძეთა: მელიტონ, გიორგი და სოლომონ ტარიელის-ძეთა, აზნაურთა: სოფ. ჩხენიშს სახნავ-სათესი და ტყე, 5 დეს. 384 კვ. საჟ., თავნი ვალი 595 მ. 36 კ. შესავს. გადასახადი 58 მ. 51 კ. სულ 653 მ 87 კ.

ჩხეიძისა, ალექსანდრე მერაბის-ძის, და მიქელაძეთა: გიორგი ბეჟანის-ძის, მელქისედეკ დიმიტრის-ძის და მელქისედეკ ძოხტას-ძის, თ.: სოფ. ჭყვიშურს სახნავ-სათესი, 130 დეს. 300 კვ. საჟ., თავნი ვალი 29768 მ. 18 კ. შესავს. გადასახ. 1212 მ. 75 კ. სულ 30980 მ. 93 კ.

აბაშიძისა, დავით ქაიხოსროს-ძის, თ.: სოფ. ხვირს ეზო, ზვარები, სახნავ-სათესი და ტყე, 77 დეს. 1076 კვ. საჟ., თავნი ვალი 13928 მ. 95 კ. შესავს. გადასახ. 570 მ. 75 კ. სულ 14499 მ. 70 კ.

ჯაფარიძისა, ქაიხოსრო თაყას-ძის, აზნ.: სოფ. ოზჩას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დეს. 2000 კვ. საჟ., თავნი ვალი 885 მ. 44 კ. შესავს. გადასახ. 53 მ. 79 კ. სულ 939 მ. 23 კ.

## ოზურგეთის მაზრისა.

ლექავათა: სპირიდონ, თეიმურაზ და ფილიპპე გიორგის-ძეთა, აზნ. სოფ. კვალითს, ცხრაწყაროს და ზოვრეთს სახნ.-სათესი, ზვარი და ტყე, 51 დეს. 550 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 5093 მ. 09 კ., შესავსებელი გადას. 355 მ. 34 კ. სულ 5448 მ. 43 კ.

სალაძისა, ადამ ნიკოლოზის-ძის, გლეხისა. სოფ. დილიკაურს, სახნ.-სათესი, ზვარი და ტყე, 3 დეს. 624 კვ. საჟ., თავნი ვალი 288 მ. 47 კ. შესავს. გადას. 39 მ. 52 კ. სულ 327 მ. 99 კ.

ჭიპაშვილისა, ეგნატე თედორეს-ძის, გლეხ.: სოფ. ჩხენიშს სახნ.-სათესი და ტყე, 1 დეს. 1800 კვ. საჟ., თავნი ვალი 192 მ. 17 კ. შესავს. გადას. 25 მ. 51 კ. სულ 217 მ. 68 კ.

ცქიტიშვილისა, დიმიტრი რომანოზის-ძის, აზნ.: სოფ. ზედა-საქარას ეზო, ზვარი, სახნ.-სათესი და ტყე, 1⅞ დეს. თავნი ვალი 1157 მ. 43 კ. შესავს. გადას. 57 მ. 83 კ. სულ 1215 მ. 26 კ.

ჩხეიძისა, მელანია ქაიხოსროს ასულის, აზნ.: სოფ. ლახუნდარას ზვარი, ეზო, სახნ.-სათესი და ტყე, 26 დეს. 1500 კვ. საჟ., თავნი ვალი 3858 მ. შესავს. გადასახ. 369 მ. 21 კ. სულ 4227 მ. 21 კ.

აბაშიძისა, ქაიხოსრო გიორგის-ძის, თავადისა სოფ. ლაშეს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 49 დესიატ. 150 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6799 მ. 33 კ. შესავს. გადასახადი 294 მ. 75 კ. სულ 7094 მ. 08 კ.

ერისთვისა, სიმონ ივანეს-ძის, თავადისა: სოფელსა თერჯოლას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და სათიბი, 33 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4839 მ. 77 კ. შესავს. გადასახადი 302 მ. 97 კ. სულ 5142 მ. 74 კ.

მახათაძეთა: გოგია და მიქელა ოტიას-ძეთა, გლეხთა: სოფელსა ძევალით ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 4 დესიატ. 2177 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 582 მ. 74 კ. შესავს. გადასახადი 45 მ. 06 კ. სულ 627 მ. 80 კ.

ჭაჭიაშვილისა, სიმო გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფელსა არგვეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 66 დესიატ. 1291 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6799 მ. 33 კ. შესავსებელი გადასახადი 447 მ. 56 კ. სულ 7246 მ. 89 კ.

ბოჭორიშვილთა: ბასილ და გრიგოლ გიორგის-ძეთა, გლეხთა: სოფელსა რუფოთს ეზო, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 8 დესიატ. 1450 კ. საჟ.; თავნი ვალი 1177 მ. 05 კ. შესავს. გადასახადი 39 მ. 70 კ. სულ 1216 მ. 75 კ.

მაჭავარიანისა, სპირიდონ სიმონის-ძის, გენერალ მაიორისა: სოფელსა ცხრა-წყაროს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 39 დესიატ. 122 კ. საჟ.; თავნი ვალი 5492 მ. 72 კ. შესავს. გადასახ. 374 მ. 14 კ. სულ 5866 მ. 86 კ.

ჭუმბაძისა, გოგია მხიარულას-ძის, გლეხისა: სოფელსა ძევალით ეზო, ზვარი, საბალახო და ტყე, 4 დესიატ. 143 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 496 მ. 13 კ. შესავს. გადასახ. 50 მ. 25 კ. სულ 546 მ. 38 კ.

## რაჭის მაზრისა.

ვაწაძისა, დავით პეტრეს-ძის, გლეხისა: სოფ. ღვარდიას ეზო, სახნავ-სათესი, ზვარი, სათიბი და ტყე, 2 დესიატ. 145 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 291 მ. 50 კ. შესავს. გადასახ. 33 მ. 76 კ. სულ 325 მ. 26 კ.

წერეთლისა, ფილიპპე იოსების-ძის, აზნაურისა: სოფ. ჯვარისას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და სათიბი, 2 დესიატ. 1500 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 389 მ. 89 კ. შესავს. გადასახ. 52 მ. 58 კ. სულ 442 მ. 47 კ.

ქავთიანიძეთა, გოგია მიქელას-ძის, პეტრე, სპირიდონ და იოსებ დავითის-ძეთა, ალექსი შიოს-ძის და მიხაილ შაქარას-ძის, გლეხთა: სოფელსა ნაკიეთს ზვარი, ეზო, სახნავ-სათესი და სათიბი, 75 დესიატ. 1404 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5866 მ. 62 კ. შესავს. გადასახ. 319 მ. 96 კ. სულ 6186 მ. 58 კ.

მუსელიანისა, ტარიელ ოქროპირის-ძის, გლეხისა: სოფ. ტოლას ეზო, ზვარი. სახნავ-სათესი და ტყე, 15 დესიატ.; თავნი ვალი. 1466 მ. 65 კ. შესავს. გადასახ. 97 მ. 93 კ. სულ 1564 მ. 58 კ.

იაშვილისა, ტიმოთე როსტომის-ძის, მღვდლისა: სოფ. წერს, წოლას, სომიწოს და ჟაკვას სახნავ-სათესი და სათიბი, 8 დესიატ. 1601 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2346 მ. 68 კ. შესავს. გადასახ. 156 მ. 15 კ. სულ 2502 მ. 83 კ.

იაშვილისა, გიორგი როსტომის-ძის, აზნაურისა: სოფ. საიმიწოს და წოლას, ეზო და სახნავ-სათესი, 6 დესიატ. 1485 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1173 მ. 37 კ. შესავს. გადასახ. 81 მ. 28 კ. სულ 1254 მ. 65 კ.

ბაქრაძისა, ბესარიონ ბეროს-ძის, აზნაურისა, სოფ. ძირაგეულს ეზო, სახნავ-სათესი და ზვარი, 1 დესიატ. 2100 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 593 მ. 70 კ. შესავს. გადასახ. 33 მ. 76 კ. სულ 627 მ. 46 კ.

## სენაკის მაზრისა.

მემკვიდრეთა გეგელიასი, დიმიტრი გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფ. ჩაჩხურის სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 58 დესიატ. 300 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 3665 მ. 32 კ. შესავსებელი გადასახადი 276 მ. 09 კ. სულ 3941 მ. 36 კ.

მიქაძეთა: ალექსანდრე ალექსანდრეს-ძის, რამინ და ბეჟან სიმონის-ძეთა, გიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის-ძეთა და ეკატერინე პეტრეს ასულის, თავადთა: სოფ. ჭალადიდს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 750 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 14570 მ. 08 კ. შესავსებელი გადასახადი 822 მ. 83 კ. სულ 15392 მ. 91 კ.

სანიკიძისა, გოგია დავითის-ძის, გლეხისა: სოფ. ნაქალაქევს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 11 დესიატ. 600 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 692 მ. 67 კ. შესავსებელი გადასახადი 66 მ. 76 კ. სულ 759 მ. 43 კ.

## ზუგდიდის მაზრისა.

დადიანისა, ტარიელ ალექსანდრეს-ძის, თავადისა: სოფ. მუხურს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 30 დესიატ., თავნი ვალი 3871 მ. 92 კ. შესავსებელი გადასახადი 142 მ. 22 კ. სულ 4014 მ. 14 კ.

დადიანისა, კონსტანტინე ლევანის-ძის, უბრწყინვალესის თავადისა, გენერალ მაიორისა: სოფ. ხიბულს ეზო სახნავ-სათესი და ტყე 2050 დესიატ. 1920 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 38580 მ. 81 კ. შესავსებელი გადასახადი 2173 მან. 64 კ. სულ 40754 მ. 45 კ.

მემკვიდრეთა დადიანისა, გიორგი ნიკოლოზის-ძის, თავადისა: სოფ. რიყეს სახნავ-სათესი და ტყე, 420 დესიატ. 840 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 29627 მ. 90 კ. შესავს. გადასახადი 2019 მან. 13 კ. სულ 31647 მან. 03 კაპ.

დადიანისა, ნიკოლოზ ბესარიონის-ძის, თავადისა: სოფ. რიყეს სახნავ-სათესი და ტყე, 380 დესიატ. 2340 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 26704 მ. 04 კ. შესავს. გადასახადი 1436 მ. 90 კ. სულ 28140 მ. 94 კ.

### ლეჩხუმის მაზრისა.

მემკვიდრეთა ჩიქოვანისა, ივანე ოტიას-ძის, თავადისა: სოფელთა ლასურიაშს და მახაშს ეზო, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 34 დესიატ. 1200 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 2613 მ. 66 კ. შესავს. გადასახადი 68 მ. 22 კ. სულ 2681 მ. 88 კ.

ჩიქოვანისა, სისო მანუჩარის-ძის, თავადისა: სოფ. ლასურიაში ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 15 დესიატ., თავნი ვალი 1455 მ. 13 კ. შესავს. გადასახადი 103 მ. 81 კ. სულ 1558 მ. 94 კ.

ბაკურაძისა, ივანე დავითის-ძის, აზნაურისა: სოფ. თაბორს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დესიატ. 750 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 491 მ. 88 კ. შესავს. გადასახადი 43 მ. 92 კ. სულ 535 მ. 80 კ.

### ოზურგეთის მაზრისა.

გოთუასი, სიმონ ვახუშტის-ძის, აზნაურისა: სოფ. ძიმითს სახნავ-სათესი, 4 დესიატ. 2100 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 595 მ. 35 კ. შესავს. გადასახადი 58 მ. 51 კ. სულ 653 მ. 86 კ.

## 18 7/12 წლიანნი სესხნი

### ქ. ქუთაისს.

დარახველიძისა, მიხაილ ერისტოს-ძის, აზნაურისა: ოჳრპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი: ერთი ორ ეტაჟიანი, ხოლო მეორე ერთ ეტაჟიანი და მიწა, 312 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 4468 მ. 77 კ. შესავსებელი გადასახადი 248 მ. 66 კ. სულ 4717 მ. 43 კ.

წერეთელთა, გიორგი და დიმიტრი ევთიმეს-ძეთა, ვასილ სიმონის-ძის და იასებ ოქროპირის-ძის, აზნაურთა: ბაღის ქუჩაზე ორი ერთ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 2 დესიატ. 1146 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5360 მან. 23 კაპ. შესავსებელი გადასახადი 927 მან. 14 კაპ. სულ 6287 მან. 37 კაპ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულისა: ბეგუთის ქუჩაზე შვიდი ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, 103 1/2 დესიატ.: თავნი ვალი 2373 მან. 75 კაპ. შესავს. გადასახადი 433 მან. 74 კაპ. სულ 2807 მან. 49 კაპ.

მათივე: რკინის გზის ვაგზალის ახლოს ორი ხის ერთ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 3 დესიატ. 2306 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1733 მან. 22 კაპ. შესავს. გადასახ. 335 მან. 90 კაპ. სულ 2069 მან. 12 კაპ.

შამირანოვისა, იოსებ ივანეს-ძის, მეორე გილდიის ვაჭრისა: ფრანგების ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ხის სახლი და მიწა, 130 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 765 მან. 75 კაპ. შესავს. გადასახადი 120 მან, 97 კაპ. სულ 886 მან 72 კაპ.

დოლაბერიძისა, გიორგი ბესარიონის-ძის, კოლლეჟსკი სეკრეტრისა: მიხაილის ქუჩაზე ქვითკირის ერთ ეტაჟიანი მაღაზიები და მიწა, 276 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 14640 მან. 47 კაპ. შესავს. გადასახ. 1980 მან. 15 კაპ. სულ 16620 მან. 62 კაპ.

განდელაკისა, ეკატერინა ანდრიას ასულის, კოლლეჟსი ასსესორისა მეუღლისა: ობორინის ქუჩაზე ორი სახლი ერთი ორ ეტაჟიანი, ხოლო მეორე ერთ ეტაჟიანი და მიწა, 192 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2361 მან. 33 კაპ. შესავსებელი გადასახადი 516 მან. 59 კაპ. სულ 2877 მ. 92 კ.

მემკვიდრეთა ლორთქიფანისა, ვლასა ბესარიონის-ძის, თავადისა: ოჳრპირის და ბაღის ქუჩებს შუა ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, 700 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4722 მან. 79 კაპ. შესავს. გადასახადი 386 მან. 52 კაპ. სულ 5109 მან. 31 კაპ.

ხარაზოვისა, ანნა გაბრიელის ასულის, მეორე გილდიის ვაჭრის ცოლისა: პოლიციის ქუჩაზე ორი ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4250 მ. 37 კ. შესავსებელი გადასახადი 569 მ. 06 კ. სულ 4819 მ. 43 კ.

მემკვიდრეთა ხელთუფლიშვილისა, ბესარიონ ანდრიას-ძის, კოლლეჟსკი ასესორისა: ოჳრპირის ქუჩაზე ხის ერთ ეტაჟიანი დუქნები და მიწა, 442 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1416 მ. 77 კ. შესავს. გადასახადი 326 მ. 79 კ. სულ 1743 მ. 56 კ.

ალიბეგოვებისა: იასებ, ალექსანდრე და იოსებ ღვთისავაროვის-ძეთა, მოქალაქეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და მიწა, 80 კვადრ. საჟ.: თავნი ვალი 1131 მ. 02 კ. შესავს. გადასახადი 68 მ. 18 კ. სულ 1199 მ. 20 კ.

მათივე: ლევაშოვის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 1410 კ. საჟ.; თავნი ვალი 993 მ. 61 კ. შესავს. გადასახ. 70 მ. 26 კ. სულ 1063 მ. 87 კ.

გოგიჩაძისა, სიმონ დიმიტრის-ძის, აზნაურისა: ინგლისის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 200 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 726 მ. 93 კ. შესავს. გადასახადი 162 მ. 16 კ. სულ 889 მ. 09 კ.

გურიელისა, ელეონორა მიხეილის ასულის, თავადისა: ოჳრპირის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა ბაღით, 1230 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4039 მ. 38 კ. შესავს. გადასახადი 545 მ. 94 კ. სულ 4585 მ, 32 კ.

ქუთათელაძეთა: კლიმენტი პეტრეს-ძის და მეუღლისა მისისა ეკატერინესი, აზნაურთა: ბეგუთის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2181 მ. 22 კ. შესავს. გადასახადი 278 მ. 27 კ. სულ 2459 მ. 49 კ.

მერაბოვისა, თომა პავლეს-ძის, მოქალაქისა: ბალახვნის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და მიწა, 54 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1211 მ. 67 კ. შესავს. გადასახადი 184 მ: 69 კ. სულ 1396 მ. 36 კ.

მურვანოვისა, პეტრე სიმონის-ძის, აზნაურისა: სიღაზე ქვითკირის ერთ ეტაჟიანი დუქნები და მიწა, 210 კვად. საჟ.; თავნი ვალი 646 მ. 45 კ. შესავს. გადასახადი 138 მ. 22 კ. სულ 784 მ. 67 კ.

ხარაზოვისა, კონსტანტინე სტეფანეს-ძის, მეორე გილდიის ვაჭრისა: თაილისის ქუჩაზე მიწა, 5466, 62 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1211 მან. 77 კაპ. შესავს. გადასახადი 128 მ. 80 კ. სულ 1340 მ. 57 კ.

წერეთლისა, ნესტორ დიმიტრის-ძის, თავადისა: თბილისის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 900 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 5008 მან. 89 კ. შესავს. გადასახადი 406 მ. 87 კ. სულ 5415 მ. 76 კ.

შხვაცაბაიასი, სიმონ ხალილას-ძის, აზნაურისა: მესხეთის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 248 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1292 მან. 60 კაპ. შესავს. გადასახადი 206 მ. 31 კ. სულ 1498 მ. 91 კ.

გაბუნიასი, ნატალია ქრისტეფორეს ასულის, აზნაურისა: თბილისის ქუჩაზე ორი ხის ერთ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 284 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1865 მან. 48 კაპ. შესავს. გადასახადი 509 მან. 96 კ. სულ 2375 მან. 44 კ.

კიკიანისა, ტასია გლახუას ასულის, აზნაურისა: ზუბოვის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 144 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 496 მან. 80 კ. შესავსებელი გადასახადი 87 მ. 09 კ. სულ 583 მ. 89 კ.

ალხაზოვისა, ივანე კაციას-ძის, მოქალაქისა: პოლიციის ქუჩაზე ორი ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 334 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 3390 მნ 44 კაპ. შესავსებელი გადასახადი 568 მან. 31 კაპ. სულ 3958 მან. 75 კაპეიკი.

იოსელიანისა, კონსტანტინე იესეს-ძის, პოდპორუჩიკისა: ოჳრპირის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 344 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1017 მან. 11 კაპ. შესავს. გადასახადი 218 მან. 58 კაპ. სულ 1235 მან. 69 კაპეიკი.

ლორდქიფანიძისა, ნიკოლოზ გიორგის-ძის, თავადისა: მესხეთის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ხის სახლი და მიწა, 667 კვადრ. საჟ, თავნი ვალი 1525 მან. 70 კ. შესავს. გადასახადი 273 მან. 74 კაპ. სულ 1799 მან. 44 კაპ.

მემკვიდრეთა თხორჟევსკისა, სიმონ ბასილის-ძისა: სოლოგოლაში ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 189 კვადრ. საჟ, თავნი ვალი 847 მან. 62 კაპ. შესავს. გადასახადი 87 მან. 81 კაპ. სულ 935 მან. 43 კაპ.

ჭოლაძისა, გიორგი სიმონის-ძის, მოქალაქისა: ნემეცის ქუჩაზე [illegible] ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 309 კვადრ. საჟ., თავნი [illegible] 23612 მან. 34 კაპ. შესავსებელი გადასახადი 3894 მან. 89 კაპ. სუ[illegible] 27507 მ. 23 კაპ.

ავალიანისა, პელაგია სიმონის ასულის, აზნაურისა: გორის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 403 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1559 მან. 95 კაპ. შესავსებელი გადასახადი 299 მ. 70 კ. სულ 1859 მ. 65 კ.

ძუბენკოისა, მარიამ პეტრეს ასულის, შტაბს კაპიტნის მეუღლისა: ბალახვნის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 439 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 866 მან. 62 კაპ. შესავს. გადასახადი 119 მან. 97 კაპ. სულ 986 მან. 59 კ.

ზუბოვისა, ნიკოლოზ მიხაილის-ძის, გადასული თ. სიმონ დავითის-ძეს წერეთელზე: ინგლისის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 1044 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 16465 მ. 69 კ. შესავსებელი გადასახადი 1244 მ. 14 კ. სულ 17709 მ. 83 კ.

მემკვიდრეთა ზალინოვისა, ნიკოლოზ ენოქის-ძის, მეორე გილდიის ვაჭრისა: ქარავან სარაის ქუჩაზე ქვითკირის ერთ ეტაჟიანი დუქნები და მიწა, 36 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 10399 მ. 38 კ. შესავსებელი გადასახადი 1089 მ. 63 კ. სულ 11489 მ. 01 კ.

ქალანთაროვისა, დავით კარაპეტას-ძის, აზნაურისა: ივანოვის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 298 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1733 მ. 19 კ. შესავს. გადასახადი 236 მ. 63 კ. სულ 1969 მ. 82 კ.

ლორდქიფანიძეთა: სიმონ და იოსებ ნიკოლოზის-ძეთა, თავადთა ოჳრპირის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა 321 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 8666 მან. 22 კაპ. შესავს. გადასახადი 777 მან, 33 კაპ. სულ 9443 მან. 55 კ.

ლორთქიფანიძისა, ანტონ ნიკოლოზის-ძის, თავადისა: ოჳრპირის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, 115 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4246 მან. 38 კაპ. შესავსებელი გადასახადი 598 მან. 50 კაპ. სულ 4844 მან. 88 კაპ.

მისივე: ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 190 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 12710 მან. 18 კაპ. შესავს. გადასახადი 1779 მან. 77 კ. სულ 14489 მან. 95 კ.

ლორდქიფანიძისა, დავით არჩილის-ძის, აზნაურისა: თბილისის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 123 კვადრ, საჟ. თავნი ვალი 3119 მ. 81 კ. შესავს. გადასახ. 201 მ. 60 კ. სულ 3321 მ. 41 კ.

მესხისა, ირაკლი გრიგოლის-ძის, აზნაურისა: ნიჟარაძის ქუჩაზე ორი ერთ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 230 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4137 მან. 68 კაპ. შესავს. გადასახ. 433 მან. 77 კაპ. სულ 4571 მან. 45 კაპ.

მაჭავარიანისა, ივანე დავითის-ძის, კოლლეჟსკი სეკრეტარისა: თბილისის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ხის სახლი და მიწა, 230 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2166 მან. 51 კაპ. შესავს. გადასახადი 187 მან, 54 კაპ. სულ 2354 მან. 05 კაპ.

ფიჩხაძისა, ბინო შათათას-ძის, 2 გილდიის ვაჭრისა: ბაზრის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და მიწა, 8 კვადრ. საჟ. 5 1/2 კვადრ. ალაბი; თავნი ვალი 1559 მან. 95 კაპ. შესავს. გადასახადი 173 მან. 64 კაპ. სულ 1733 მან. 59 კაპ.